პარტიისა და ხალხის ერთიანობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 ივნისი ოთხშაბათი 1970 წ. 2 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 139 (14743)

ცენტრალური ბიბლიოთეკა

გუშინ, 14 ივნისს, ჩვენს ქიან ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო ზეიმი იყო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ჩაიარა როგორც დიდმა დღესასწაულმა. დილით ადრე ფართოდ გაიღო საარჩევნო უბნების კარები. სადღესასწაულოდ გამოწყობილი ადამიანები გაემართნენ უყოფილისაკენ, რომ მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა.



ეს ორი სურათი გადაღებულია თბილისის სხვადასხვა რაიონში. ზემოთ — კიროვის რაიონის № 43/15 საარჩევნო უბანი, სადაც კენჭს იყრიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი. ხმას აძლევენ იურისტი პ. პარჩაძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ზ. არაბიძე და თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის II კურსის სტუდენტი გ. არაბიძე; მარცხნივ — ლენინის რაიონის 22/22 საარჩევნო უბანი. ყუთში ბიულეტენებს უშვებს თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის შიგმიჩარხავი იური გოკუჩავა.

ფოტო ვლ. ბინზაურგისა და ზ. გოგოხიასი.

ხმას აძლევენ სამშობლოს შემდგომ აყვავებას

ერთსულოვნება, დარაზმულობა

დაღლესასწაულოდ მორთული და მოკაზმული იყო გუშინ საქართველოს ქალაქები და სოფლები, დაწესებულებები, საწარმოები. რესპუბლიკამ იზეიმა ჩვენი სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 14 ივნისი. დილაადრიან გაიღვიძეს ქალაქებმა და სოფლებმა. მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, ახალგაზრდობამ სიხარულით მიაშურეს საარჩევნო უბნებს, რათა მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მიეცათ ხალხის რჩეულთათვის, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში — საბჭოთა პარლამენტში თავიანთი წარგზავნილთათვის.

მშრომელები თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებს ხმას აძლევდნენ ერთი რწმენით, ერთი განწყობილებით, რომ ისინი მთელ თავიანთ ძალებს, შემოქმედებითს უნარს, ნიჭსა და გონებას მოახმარენ მშობლიური კომუნისტური პარტიის დიად გადაწყვეტილებათა წარმატებით განსხორციელებას.

ბევრი რამ აქვთ საამაყო ჩვენს ადამიანებს. დამშვენდა ჩვენი ქალაქები და სოფლები, აღმავლობას განიცდის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, გრანდიოზული მიღწევები აქვს მოპოვებული საბჭოთა მეცნიერებას. ამ საერთო-სახალხო მიღწევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული წინასაარჩევნო ცნობები მოწმობენ, რომ გუშინდელ არჩევნებში დიდი გამარჯვება მოიპოვა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა. არჩევნები მიმდინარეობდა მასების პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — საბჭოთა პარლამენტში ერთსულოვნად იქნა არჩეული დეპუტატობის სამოცდათოთხმეტივე კანდიდატი, რომლებიც ხალხმა წინასაარჩევნო კრებებზე დაასახელა. ეს არც არის გასაკვირველი. სხვანაირად არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენმა ხალხმა იცის, რომ კომუნისტებისთვისაც და უპარტიოებისთვისაც არ არის არაფერი უფრო მაღალი და ძვირფასი, ვიდრე სამშობლოს ინტერესები. მათ აერთიანებს საერთო საქმე, კომუნიზმის ბედისათვის საერთო პასუხისმგებლობა.

ჩვენმა მშრომელებმა კარგად იციან, პრაქტიკულად გამოცდილი აქვთ, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი დეპუტატები ყოველდღიურ მოღვაწეობაში მშრომელთა ფართო მასებზე დაყრდნობით ენერგიას არ დაზოგავენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დეპუტატს არა მარტო უფლება აქვს, არამედ ვალდებულია შეასრულოს ხალხის, ამომრჩევლების განაწესი, გულისხმიერი და ყურადღებიანი იყოს ადამიანებისადმი.

წლევანდელი არჩევნები დაემთხვა პარტიის XXIV ყრილობის წელს. ეს დიდ მოვალეობას აკისრებს ჩვენს ხალხს — მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას. მთავარია არ შევანელოთ შრომის ტემპი, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ პარტიის მომავალ ყრილობას შევხვდეთ ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა დემოკრატია — ხალხის ნამდვილი ყოვლისშემძლეობა!

ბაუშარჯოს ჩვენს ლენინურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს.

ხალხის რჩეულნი

მოსკოვის საარჩევნო უბნებში

საბჭოთა ადამიანებისათვის საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების დღე ხალხის ნამდვილი გამგებლობის გამარჯვების, სოციალისტური დემოკრატიის დღესასწაულია. ეს დღესასწაული მკაფიოდ გვიჩვენებს ხალხის მასების პოლიტიკურ, შრომითსა და საზოგადოებრივ აქტივობას.

მთელ ქვეყანასთან ერთად 14 ივნისს საარჩევნო урნებთან მოვიდა მრავალმილიონიანი მშრომელი მოსკოვიც. უმეტესწილად რა ბიულეტენებს урნებში, დედაქალაქის მცხოვრებლები ხმას აძლევდნენ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ აყვავებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებას. მშობლიური ქალაქის განვითარების მაგალითით მოსკოველები ხედავენ, რა დიდი ნაბიჯი გადადგმულა წინ განვლილი ოთხი წლის მანძილზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი არჩევნების დროიდან მოსკოვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. დღეს დილის 6 საათზე კარი გააღო დედაქალაქის 2.899 საარჩევნო უბანმა — 202 საარჩევნო ოლქით მეტმა, ვიდრე 1966 წელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბაუმანის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბანში პირველმა და თავის ეხოვრებაში პირველად ხმა მისცა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტმა ს. კონსტანტინოვმა. მას, ისევე როგორც სხვა ახალგაზრდა ამომრჩევლებს, საარჩევნო კომისიის წევრებმა საზეიმო მოლოცვის ნიშნად წიგნელი მისცეს.

ჩაუშვა რა ბიულეტენი, სანდარეშო-ანალიზური მანქანების ქარხნის მუშამ ნ. ტიტოვმა თქვა:

— მეც პირველად ვმონაწილეობ არჩევნებში, ამიტომაც განსაკუთრებით მიხარია. ჩვენმა კოლექტივმა დედაქალაქში ერთ-ერთმა პირველმა დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად. ხმას ვაძლევ რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამოჩენილ მოღვაწეს ლ. ი. ბრეჟნევს, მჯერა, რომ იგი მთელ თავის ძალ-ღონესა და ცოდნას მოახმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების, მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს. ჩვენი მხრივ, ჩვენ, ახალგაზრდები, ღირსეულად დავიცავთ და გავამართლებთ უფროს თაობათა რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს.

დედაქალაქის გაბარინის რაიონი. იგი სულ ორი წლის წინათ შეიქმნა, მაგრამ უკვე ბევრი გაკეთდა. როგორც ყოველგან ჩვენს ქვეყანაში, აქ რეალურად ხორციელდება პარტიის ლოზუნგი: ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის.

— ჩვენი პარტია და მთავრობა თავიანთი სიტყვის ერთგული არიან და ბევრ რამეს აკეთებენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, — თქვა ვეტერანმა მშენებელმა მ. ფ. კურნოსოვმა, რომელმაც პირველმა მისცა ხმა № 117 საარჩევნო ოლქში. — ჩვენ, მუშები, სავსებით ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ამომრჩევლებმა ბევრი გულთბილი სიტყვა უძღვნეს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებს — ა. ნ. კოსიგინსა და აკადემიკოს ი. გ. პეტროვსკის. ფრუნზეს სახელობის ბამბეულის ფაბრიკის უხუცესმა მუშამ ე. ე. ანანიევამ დიდად შეაფასა ა. ნ. კოსიგინის მოღვაწეობა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში ირჩევენ მთელ მოსკოვში.

ლენინგრადის საარჩევნო ოლქში ათასობით ამომრჩეველს შორის ხმას აძლევდნენ დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი საფეიერო საწარმოს — პეტრე ალექსეევის სახელობის ბამბეულის ფაბრიკის მშრომელები. წარმოების ვეტერანებიც, ახალგაზრდა ფეიერჭიებიც ღუდნილა მილიარდჯერ, ლუბოვ ეროვეკა და ვალენტინა კონსტანტინოვა გამოთქვამდნენ დიდ კმაყოფილებას იმის გამო, რომ წილად ხვდათ ხმა მისცენ დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის.

მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და დედაქალაქის სტუმრებმა ხმა მისცეს ჩვენი დიდი საბჭოეთის აყვავებას, პარტიისა და ხალხის ერთიანობას, კომუნიზმის გამარჯვებას. (საკდესი).

ერთი ფიქრი, ერთი გულისთქმა

კიროვის საარჩევნო ოლქში

საღღესასწაულოდ და დიდებულად გამოიყურებოდა გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი — თბილისი. ჯერ კიდევ ბინდში იყო გახვეული ქალაქი, ჭუჭები რომ უკვე ხალხით გაივსო. ცოტაც და, მზიანი, გრილი დღე გათენდა. ისმოდა მუსიკის, სიმღერის ხმები, მხიარული ჟრიამული. მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, დიასახლისები საარჩევნო უბნებისაკენ დაიძრნენ, რათა ხმა მიეცათ თავიანთი რჩეულებისათვის, იმათთვის, ვინც არაერთხელ დაამტკიცა უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, სამშობლოსა და ხალხისადმი, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისადმი.

ქალაქის ორ რაიონს მოიცავს თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი. დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან ადამიანები საარჩევნო უბნებისაკენ. ყველას მხიარული, ნათელი სახე აქვს. უხარიათ და ეამაყებათ, დიად მოქალაქეობრივ ვალს რომ იხდიან. ამ სიამაყესა და სიხარულს ნათელს ჰფენს იმის ღრმა რწმენა, რომ ხმას აძლევენ ღირსეულთ — დეპუტატობის მათი კანდიდატები არიან პარტიისა და ხალხის ხანგრძლივი შეილი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე და საქეციონო ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.

თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქის № 39/11 საარჩევნო უბანში, რომელიც ენგელსის ქუჩაზე, პირველი მუსიკალური სასწავლებლის შენობაში იყო გამართული, ხმის მისაცემად ერთ-ერთი პირველი მოვიდა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1917 წლიდან ნატალია ჯიბუტი.

— მოხუცებულობის მიუხედავად შინ არ დამიდგა გული, — თქვა მან, — თუმცა ჩვენი ავიტატორი დამპირდა, საარჩევნო урნას შინ მოგართმევთო, მინდოდა საუოველთაო ზეიმს მეც შევერთებოდი. სიხარულით ვაძლევ ხმას ჩვენს კანდიდატებს, მთელ ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას. მწამს — ამით ხმას ვაძლევ ჩემი შვილებისა და შვილიშვილების, მთელი ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო დიად და ნათელ მომავალს.

ახალგაზრდა ამომრჩეველმა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ლიანა ბალაბაძემ დილით ყველას მანამდე მოასწრო ხმა მიეცა საარჩევნო უბანში და საარჩევნო ბიულეტენიც პირველმა მიიღო.

— არჩევნებში პირველად ვმონაწილეობ, — თქვა მან, — და კარგად ვიცი, რომ ეს დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. უკვე სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ და ვმონაწილეობ ისეთ დიდ საქმეში, როგორიც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წარმომადგენლის წარგზავნაა. ეს მაგალებს კარგად ვისწავლო, ვიშრომო, საბჭოთა სამშობლოს ღირსეული მოქალაქე ვიყო.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის შესასვლელი, სადაც № 36/8 საარჩევნო უბანია მოთავსებული, ლამაზად არის მორთული. ჯერ კიდევ ადრე, ვიდრე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალო ლომთათიძე კარს გააღებდა და ამომრჩევლებს ხმის მისაცემად მიიწვევდა, იქვე ახლომდებარე სკვერში უამრავმა ამომრჩეველმა მოიყარა თავი. ადრიანად მოსულიყვნენ მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად. აქ ამომრჩეველთა შორის იყო მოხუცი პენსიონერი სკკპ წევრი 1921 წლიდან კონსტანტინე გვიჩია. მან არც თუ შორეული წარსული გაიხსენა და მის გარშემო შეკრებილ ახალგაზრდებს უამბო:

— თქვენ ყველას კარგად არც კი გეხსომებათ ხარფუხის — დედაქალაქის ამ ძველი უბნის არც ისე შორეული წარსული. თუმცა არც ისე დიდი ხანია, რაც აქ უკანასკნელი ქოხმახები აიღეს. ახა ახლა გახედით ამ ფართო მაგისტრალს, მის გასწვრ გაღებსა და სკვერებს... რა სწრაფად იცვალა ჩვენს დროში იერი თბილისმა! ახლა ფლები სჯირდება იმის გაკეთებას, რასაც წარსულში საქაქნებიც არ ყოფნიდა... შემდეგ ხმის მისაცემად წაუძღვა ამომრჩევლებს საარჩევნო უბნისაკენ.

თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქის ყველა უბანში ადრე დილიდანვე დაიწყო ხმის მიცემა. დღის 12 საათისათვის ხმა მისცა ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტმა, ხოლო 2 საათისათვის ხმის მიცემა თითქმის ყველგან დამთავრებული იყო.

ზეიმი კი გვიანამდე გაგრძელდა. ჩვენმა ხალხმა, რომელსაც უზარუველყოფილი აქვთ ხვალინდელი დღე, პატოსნად მოიხადა დიად მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცა ხალხის საუკეთესო შვილებს, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ვ. თორდუა,
მ. მიქაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს — 14 ივნისს — დილის 8 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით კოსმონავტებმა ა. გ. ნიკოლაევმა და ვ. ი. სევასტიანოვმა „სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟის წევრები, რომლებიც ამყამად სამყაროს სივრცეებში ვართ, მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით ვუერთდებით ყველა ამომრჩეველს, რომლებიც ხმას აძლევენ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. ამ საზეიმო დღეს, ჩვენ ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ხმას ვაძლევთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებს, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

„სოიუზ-9“ ხომალდის მეთაური
ა. გ. ნიკოლაევი,
„სოიუზ-9“ ხომალდის ბორტინჟინერი
ვ. ი. სევასტიანოვი.

უცნობი — პირველები ჩვენს ქვეყანაში

14 ივნისს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს მოსკოვთან შედარებით ათი საათით ადრე შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ყველაზე აღმოსავლეთი დაბის უელების მცხოვრებლები. დილის ექვსი საათიდან დიდი გამოცოცხლება და ბევრი ხალხი იყო ადგილობრივ კულტურის სახლში. უელენელები აქ მოვიდნენ, რომ მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატების: სკკპ მაგადანის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ს. ა. შაიდუროვს, ჩუკოტკის ეროვნული ოკრუგის საოკრუგო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ლ. გ. ტენელს, შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს ვ. ფ. ტოლუბკოს.

უელენი ჩუკჩ-ესკიმოსთა დაბაა. მაგრამ მას სამართლიანად შეეგიძლია ვუწოდოთ მრავალეროვანი. უელენელთა შორის არიან სსრ კავშირის 16 ეროვნების წარმომადგენლები.

საარჩევნო ყუთთანაა დაბის ცნობილი მშენებელი ორდენოსანი ანატოლი ტიმნეევიჩი. სახარბიელო ბედი აქვს კაცს. ჩუკჩებს შორის იგი ერთ-ერთი პირველი დაეუფლა უკიდურეს ჩრდილოეთში ახალ პროფესიას. ბრიგადამ, რომელსაც ტიმნეევიჩი მეთაურობს, უელენის თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლი, საბჭოთა მეურნეობა „გეროი ტრუდას“ საწარმოო ნაგებობათა უმრავლესობა აუშენა.

მოდიან ახალ-ახალი ამომრჩევლები: მეირეველი და ზღვის ნადირთმჭერები, პოლარული სადგურის მუშაკები და მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული სამხატვრო სახელოსნოს „სევერნი სუვენირის“ ძვლის ჩუქურთმის ოსტატები.

ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩევლები არ მიდიან კულტურის სახლიდან. აქ გაისმის სიმღერები, ცეკვავენ ახალგაზრდები, დინჯად საუბრობენ სანში შესული ჩუქჩები და ესკიმოსები.

— ჩვენ სამოცი კილომეტრი გვაშორებს ჩვენს წარსულს — გაისმის მათს საუბარში. — იქ, ბერინგის სრუტის მიღმა, ალასკაზე დარჩა სიღატაკე და უუფლებობა, რომელიც დიდი ოქტომბრის გამარჯვებამდე ბატონობდა ჩვენს ნახევარკუნძულზე, საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვანიჭა ბედნიერი და სიხარულით აღსავსე ცხოვრება, უფლება ავირჩიოთ და ვიყოთ არჩეულნი. ჩვენ გამაყობთ ამ უფლებით და სულითა და გულით ვაძლევთ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ე. დენისოვი,
საკდესის კორ.

უელენი,
მაგადანის ოლქი.

საკდესის ცნობა

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი მეცამეტე დღეღამეა განაგრძობს ორბიტულ ფრენას. 14 ივნისის 13 საათსა და 16 წუთისათვის მოსკოვის დროით ხომალდმა 204-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. ამ დროისათვის კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი კოსმოსში იყვნენ 303 საათს.

მეცამეტე სამუშაო დღე კოსმოსში მიმდინარეობდა დადგენილი წესის შესაბამისად და დამთავრდა 14 ივნისის დილის სამ საათზე მოსკოვის დროით. კოსმონავტებმა ნიკოლაევმა და სევასტიანოვმა დღის განმავლობაში შეასრულეს მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო ექსპერიმენტები.

ერთ-ერთი მეცნიერული ექსპერიმენტი იყო მართვის სისტემის მოდელის ელემენტად მიჩნეული ადამიანის დინამიკური ფუნქციების კვლევა.

ამ ექსპერიმენტის დროს გამოიყენეს სპეციალური კიბერნეტიკული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხორციელდებოდა ფრენის გართულებული დინამიკური რეჟიმების მოდელირება. ბორტინჟინერი სევასტიანოვი ცდის დროს განსაზღვრავდა, თუ რამდენად ზუსტად ასრულებს იგი კიბერნეტიკული მოწყობილობის მართვის ბრძანებების გათვალისწინებულ პროგრამას. ანალოგიური ექსპერიმენტები განახორციელეს დედამიწაზე მომზადების დროს და ფრენის დასაწყისში. მიღებული შედეგების შედარება შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ ადამიანის გამოსაკვლევ დახასიათებებზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების კომპლექსური გავლენა.

დღის განმავლობაში კოსმონავტები ეწეოდნენ დედამიწის ზედაპირზე დაკვირვებებსა და ფოტოგრაფირებას. 188-ე გარშემოვლის დროს კოსმონავტებმა ნიკოლაევმა და სევასტიანოვმა ფოტოფირზე გადაიღეს ღრუბლის წარმონაქმნები ინდოეთის ოკეანის აკვატორიის დასავლეთ ნაწილში. ამ ექსპერიმენტში მონაწილეობდა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი გემი „აკადემიკოსი შირშოვი“ და ეწყობოდა დაკვირვება მეტეოროლოგიურ თანამგზავრ „მეტეორის“ დახმარებით.

რადიოკავშირის სეანსების დროს ანდრიან ნიკოლაევმა ილაპარაკა ზოგიერთი ბატარა მეტეორიტზე დაკვირვების შესახებ, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროში შევიდნენ და დაიწვნენ. ხომალდის მეთაურმა დაწვრილებით ილაპარაკა აგრეთვე ორბიტულ ნაკვეთურში ილუმინატორების მდგომარეობაზე.

კოსმონავტებმა განახორციელეს მთელი რიგი სამედიცინო ექსპერიმენტები, კერძოდ გამოიკვლიეს თვალის კონტრასტული მგრძნობელობა ხანგრძლივი უწონობის პირობებში ხელსაწყოებთან მუშაობის დროს. ექსპერიმენტი მოეწყო ჩვეულებრივი სამუშაო განათების პირობებში ორბიტულ ნაკვეთურში ორჯერ დღეღამის მანძილზე — ძილის წინ და ძილის შემდეგ.

„სოიუზ-9“ ხომალდის ეკიპაჟის ფრენის მორიგი დღე დაიწყო 14 ივნისს ჩვეულებრივზე ადრე, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულთან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღესთან დაკავშირებით. კოსმონავტებმა 8 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით გადმოსცეს რადიოგრამა საბჭოთა ადამიანებისადმი. რადიოგრამის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „ამ საზეიმო დღეს, ჩვენ, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ხმას ვაძლევთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, კომუნიზმს“.

რადიოკავშირის სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა ანდრიან ნიკოლაევმა გადმოსცა, რომ ეკიპაჟი დღის პროგრამას ასრულებს, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.

მიუძღვნეს არჩევნების დღეს

შრომითი ნოგათეგი

□ რუსთავი. (საკ. კორ.). წინასაარჩევნო დღეებში რამდენიმე რეკორდულად ჩაჩარსნული დნობა განახორციელეს მეტალურგებმა. კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ი. ტაბატაძე ხელმძღვანელობს, დნობის დრო ერთი საათითა და 15 წუთით შეამცირა. ჩაჩარსნული ნადნობების გამოშვებაში თავი ისახელეს ბურთვეკ ლ. მეტრეველმა, გ. სიბისკვერაძემ, ი. ქოქაძემ, ვილმა, პ. ბაიკაკოვმა. წინასაარჩევნო დღეებში მეფოლადეებმა 15 ჩაჩარსნული ნადნობი გამოუშვეს.

□ ჭიათურა. (საკ. კორ.). შესრულებულია ხუთთვენახევრის დაკალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია თვრამეტი ათასამდე ტონა მარგანეცი — ასეთი მაჩვენებლით შეხვდნენ არჩევნების დღეს ჭიათურელი მაღაროელები. მარგანტრესტის ბევრი მაღარო, უბანი, ცეხი, წინასაარჩევნო დღეებში დაკალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ. თბილისელ ფეიჯართა პასუხად მაღაროელებმა მასობრივად გაიჩაღეს შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ხმა მისცეს სამშობლოს აყვავებას

სიამაყის გრძნობით

დედაქალაქის ლენინის რაიონში

ცულ ათეული წლების წინათ ხროკ ღრმულებში, სადაც ადამიანს, გავლისაც კი ეშინოდა, ვ. ი. ლენინის სახელობის სახელგათქმული ელმავალსამშენებლო ქარხანა ამენდა, მის მახლობლად არის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა, ჩაის საწონი ფაბრიკა, შამპანური ღვინოების ქარხანა, ვინ ჩამოთვლის ყველა იმ ახალ საწარმოებს, რომელიც ამ ადგილებში ამ ხანებში აშენდა, ან ამჟამად შენდება.

მარტო ის რად ღირს, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის საწარმოთა მარკით გამოსული პროდუქცია — უნიკალური ჩარხები, სხვადასხვა ხელსაწყოები, ჩაი, კონიაკი, შამპანური ცნობილია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

გულს ახარებს წინა არჩევნებიდან დღემდე აშენებული ახალი საწარმოები, მრავალსართუ-

ლიანი კეთილმოწყობილი სახლები, კულტურის კერები...

ამიტომაც იყო, რომ გუშინ ამომრჩევლები სიამაყის გრძნობით მიდიოდნენ საარჩევნო უთახებთან. რაიონის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ახალი შრომითი საჩუქრები მიუძღვნეს დედასამშობლოს.

20/20 საარჩევნო უბანზე დილადრიანად ხმის მისაცემად მოვიდა ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ცნობილი მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე. მან ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ხუთწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად გაშლილ ბრძოლაში იგი ყოველთვის მაგალითის მაჩვენებელია მეგობრებისათვის.

საარჩევნო ბიულეტენის ყუთში ჩაშვებისას კ. ილურიძემ განაცხადა:

— ჩვენს ქარხანაში ვერ ნახავთ ისეთ ადამიანს, რომელიც მთელი თავისი შემართებით, გმირული შრომით არ ადიდებდეს ამ უძველესი საწარმოს სახელს. ისინი ახალ-ახალი წარმატებებით წერენ სახელოვან ფურცლებს. ჩვენმა კოლექტივმა გადაწყვიტა: ახალი გამარჯვებებით აღვნიშნოთ მომავალი დიადი თარიღები — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 50 წლისთავი და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავი. ამიტომაც სიამაყით ვაძლევ ხმას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ო. ლოლაშვილს და ხარატ ზ. სარალიძეს.

43/43 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. გოგუაძე სიხარულით მიესალმა ხმის მისაცემად მოსულ სახელგანთქმულ ნოვატორს, სოციალისტური შრომის გმირს გ. ბოგვერაძეს. საარჩევნო უთახში ბიულეტენის ჩაშვების შემდეგ მან მთელი გულით წარმატება უსურვა კომუნისტებსა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

საარჩევნო უბნებში ვნახეთ სახელმოხვეჭილი ზეინკალი პენსიონერი პ. მუხიგულაშვილი, პერსონალური პენსიონერი ლ. აზრუმელაშვილი, ახალგაზრდა ამომრჩეველი ლ. ლუზგანი, დიასახლისი ი. ჯობაძე... ისინი განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდნენ საარჩევნო უბნებისაკენ.

განსაკუთრებული მხიარულება და ბალისი იგრძნობოდა თბილისის ზღვის მახლობლად მოთავსებულ 10/10 საარჩევნო უბანში. ეს უბანი, ეს დასახლება წინა არჩევნების დროს არ ყოფილა. ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლების მკვიდრთ მართლაც ბევრი რამ აქვთ საამაყო და სახიჭადულო.

რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთ ინდუსტრიულ ცენტრში — ლენინის რაიონში არჩევნებმა ორგანიზებულად ჩაიარა. ხმის მიცემა აქ ძირითადად დღის თორმეტი საათისთვის დასრულდა.

გვიან ღამემდე ზეიმობდა ბელადის სახელობის რაიონი.

ახლა რაიონის თვითეული მუშა, მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკოსი გამსჭვალულია პატრიოტული გრძნობით: ბევრ უკეთ იმუშაოს, ვიდრე დღეს, — ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდეს ქართველი ხალხის დიდ დღესასწაულს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის ორმოცდაათ წლისთავს.

ნათელია მათი წინსვლის გზები!

აპ. გოცირიძე.

ბიბლიოთეკა

ზუგდიდი. ფასანაურის საარჩევნო უბანი № 155/99. სურათზე: საარჩევნო ურნასთან არიან, მარცხნიდან ახალგაზრდა ამომრჩეველი რუსუდან ბეჭაური, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ნინო ოსიტაშვილი, პენსიონერი მიხა ბეჭაური, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ანგელინა ფიჩხაური.

ფოტო ვ. როსტიაშვილისა.

დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე

რეპორტაჟი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საარჩევნო ოლქებიდან

ხოხუმი. ახალი შესანიშნავი მიღწევებით შეხვდნენ არჩევნებს მზღვრული აფხაზეთის მშრომელნი. გასული ოთხი წლის მანძილზე ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა და კულტურა თვალსაჩინოდ განვითარდა. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, საკმარისია აღინიშნოს: თუ 1966 წელს აფხაზეთში მოიკრიფა 35 ათას 670 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1969 წელს კი — 40 ათას 421 ტონა. უმაგალითო წარმატებით მიმდინარეობს ჩაის კრეფა წელს.

აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებმა ხუთწლედის დასკვნითი წლის 5 თვის დავალება პროდუქციის გამოშვების დარგში გადაჭარბებით შეასრულეს.

საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინა არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო დამშვენდნენ და კეთილმოწყობილი გახდნენ აფხაზეთის ქალაქები და სოფლები. აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. საკმარისია ითქვას, რომ ამ პერიოდში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დადგა ბიჭვინთის სახალხო კურორტი, რომელმაც უკვე მრავალი ათასი ადამიანი მოიპოვა. ამ სასიხარულო ცვლილებების გამო არა მარტო ადგილობრივი მკვიდრნი, არამედ დასასვენებლად ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრებიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ.

აფხაზეთის ყველა საარჩევნო უბანზე გუშინ დილის 6 საათზე ფართოდ გაიღო სადღესასწაულოდ მორთული ყველა საარჩევნო უბნის კარი.

სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში ეწყობოდა №№ 87 საარჩევნო უბანი. მოთავსებული. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. შარანგია ამომრჩევლებს იწვევს ხმის მისაცემად. ბიულეტენებს პირველი იღებს სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ტატიანა ბღაჟბა.

— სულითა და გულით ვაძლევ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, — ამბობს იგი. — დარწმუნებული ვარ, რომ ამით ხმას ვაძლევ ჩვენი ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერ აწმყოს, კიდევ უკეთეს მომავალს.

ამავე საარჩევნო უბანში მიუხედავად წვიმიანი დილისა ერთ-ერთი პირველები გამოცხადნენ პენსიონერები 84 წლის მოხუცი ივნი გეგეჭკორი და ოლღა კერესელიძე.

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში ხმის მისაცემად პირველნი მოვიდნენ სახელოვანი ადამიანები, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები. საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაშვებისას ხანდაზმულმა კოლმეურნემ, სოციალისტური შრომის გმირმა ალექსი ბარზანამ განაცხადა:

— განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დიპუტატობის კანდიდატთა შორის ხმას ვაძლევ ჩვენი კოლმეურნეობის სახელოვან თავკაცს ხაიში აიბას. ის საკოლმეურნეო ცხოვრების უნარიანი ორგანიზატორია,. მისი წინამძღოლობით ჩვენი კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებშია და გადაჭარბებით ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გეგმებს.

სოხუმის რაიონის აბჟაყვის საარჩევნო უბანში ბიულეტენებს პირველი იღებენ უხუცესი კოლმეურნე, ძველი ბოლშევიკი 90 წლის მისა ჯალანდია, წარჩინებული მეთამბაქოეები ლენინის ორდენოსნები მედეა ბარათაშვილი, გალაქტიონ შენგელია, ახალგაზრდა ამომრჩევლები დალი ასმაზა, ლიანა ბებია და სხვ.

არჩევნების დღემ ნამდვილი ზეიმის, ხალხთა ერთსულოვნებისა და დარაზმულობის ვითარებაში ჩაიარა მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში, გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში. აფხაზეთის მშრომელებთან ერთად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ბევრმა აქ დასასვენებლად ჩამოსულმა ადამიანმა.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

გარდაბნის რაიონის დილმის საბჭოთა მეურნეობის მწყემსები ამჟამად საზაფხულო საძოვრებზე არიან და საშუალება არა აქვთ საარჩევნო უბანში მივიდნენ, ამიტომ არჩევნების დღეს საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრი ლია ქობულაშვილი საარჩევნო ყუთით მივიდა მათთან.

სურათზე: მწყემსები დავით ქოტორაშვილი (მარცხნივ) და დიმიტრი ქობულაშვილი (მარჯვნივ) ხმის მიცემის დროს. უკანა პლანზე ლ. ქობულაშვილი, საქმესთან მძღოლი ა. სუთიაშვილი.

ფოტო ხ. კილაძისა.

მე ერთი ხმა მაქვს...

მე ერთი ხმა მაქვს... ათასიც მჭონდეს,
ავაწკრიალებ ჩანგურის ხმაზე.
ჩემო სამშობლოვ, შენ გიხაროდეს
ამ დღის მშვენება და სილამაზე.

სტრიქონში ხოტბა არც დაილევა,
ტრფიალის სიტყვა ტუჩზე მადნება,
ბევრჯერ გიჩვენეს შენმა შვილებმა
შენთვის სიკვდილი და თავდადება.

მხრები აზიდეს ლაჟვარდში მთებმა,
სხვა ურუანტელი მოჰყვა განთიადს,
შენი ალმების მზის ბრწყინვალება
გულში უკრობელ ცეცხლად ანთია.

ვხედავ მიდამოს ვარდით მოფენილს,
ისმის ფრთოსნების ხაამო სტვენა.
ქვეყანავ, შენ ხარ ჩვენი მშობელი,
სიცოცხლე, ფიქრი და ალმაფრენა.

ჩემი ოცნება თოვლივით წმინდა
შორს იჭრება და ზღვასავით ღელავს.
მე ერთი ხმა მაქვს და იგი მინდა
ღვთის ვუწილადო თანაბრად უველას.

დე არწივებმა გაჰყივლონ ჭიდებს
და ფრთა შეახონ ღრუბლების ნახევს,
ჭართული მიწა მზით ჩახჩახებდეს,
ოქროს ნაყოფი ესხას ვენახებს.

სივრცეებს სძრავდეს ძმობის სიმღერა,
ვეკრებდეთ ძალას მშვიდობის დროშით,
ხალხის დოვლათმა ათკეც ძლიერად
კალთა დაბერტყოს ჩემს სამშობლოში.

მე ერთი ხმა მაქვს...
ათასიც მჭონდეს,
ყველას დავარხევ ჩონგურის ხმაზე.
ჩემო ქვეყანავ, შენ გიხაროდეს
ამ დღის მშვენება და სილამაზე!

გიორგი სამხარაძე

სტუმართმოყვრულად

გუშინ ქუთაისში

გუშინ საბჭოთა დემოკრატიის ნამდვილი ზეიმი იყო უძველეს ქართულ ქალაქში — ქუთაისში. მშრომელებმა შრომითი და პოლიტიკური ღამეთა ვითარებაში აღნიშნეს ეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული. ბევრმა საწარმომ არჩევნების დღისათვის შეასრულა ნაბეჭდავი წლის დავალება, ბოლო მთლიანად ქალაქის მრეწველობამ ხუთ თვეში 5,5 მილიონი მანეთით გადაამეტა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის დავალებას.

ეს შესანიშნავი შრომითი წარმატებები განსოვრი სიხარულის გრძნობით აღავსებს თვითეულ ამომრჩეველს გულს. ამიტომაც ისინი გუშინ, 14 ივნისს ადრე დილიდანვე გამოეფინენ ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. ადამიანები უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ საარჩევნო უბნებში და ხმას აძლევდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს.

სტუმართმოყვრულად გაიღო ქალაქის სამოცდაოთხივე საარჩევნო უბნის კარი. ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშათა დაბა. ჭიშპარიტად ეს ქალაქია ქალაქში. დღეს აქ 25.000-ზე მეტი მცხოვრებია.

მხიარული განწყობილებაა დაბის ქუჩებში. ადამიანებს ყვავილები მოაქვთ, მღერიან, ცეკვავენ... ისეა ავტომშენებლების კულტურის სახლშიც, სადაც № 2 საარჩევნო უბანია. მოდიან მრავალთასიანი კოლექტივის წევრები. აი ცოლქმარ ნიკოლოზ ნიპაბაძესა და თინა ოქროპირიძესთან ერთად ბიულეტენს ღებულნ რუსები ძმები იური და ივანე ნესტეროვები; ქარხნის ვეტერანი — პენსიონერები სომეხი ცოლ-ქმარი არკადი და ელენე ავეტისიანები; ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკები — ებრაელები ცოლქმარი ბენიამინ და ვალენტინა მესხორელები; ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი ორდენოსანი პეტრე ლუციკო, ქარხანაში მომუშავე 20-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები.

ამ ერთ უბანში, სადაც 2.156 ამომრჩეველია, დღის პირველი საათისათვის ხმის მიცემა ძირითადად დამთავრებული იყო.

დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა № 17 საარჩევნო უბანშიც, რომელიც 29-ე საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული. აქ პირველნი მივიდნენ საარჩევნო ყუთთან ახალგაზრდა ამომრჩევლები მუშა ჯონდო შალამბერიძე და სტუდენტი ამირან შავგულიძე. მთელი თავისი შვიდწევრიანი ოჯახით მოვიდა აპოლონ ერემეევი.

საარჩევნო ყუთთან რომ მივიდა, მაუდის ფაბრიკის მუშამ გრიგოლ ჭოლაძემ, თქვა: სიხარულით ვაძლევ ხმას ხალხის რჩეულთ, ამით ხმას ვაძლევ მშვიდობასა და ბედნიერებას. ჩემი ოთხი შვილი ამ სკოლაში სწავლობს, მათ ჩინებულად ესმით, რომ დღეს დიდი დღესასწაულია, ესმით, რომ მათზე ყოველდღიურად ზრუნავენ პარტია და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი სკოლა ახალი სასწავლო წლიდან 4-სართულიან შენობაში გადავა.

საარჩევნო უბნის წინ ავტობუსი ჩამოდგა. აქ „ხმის მიცემის უფლების მოწმობით“ მოვიდნენ ტურისტები ლიტვიდან მარქვეიის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ვენტას“ მუშა-მოსამსახურეები. 20-კაციანი ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა კამბარსმა ილაპარაკა იმ შთაბეჭდილებებზე, რაც მათზე მოახდინა საქართველომ. მათ გაიგეს, რომ აქ კენჭს იყრიდნენ ქუთაისის № 4 სამკერდაღო ფაბრიკის მუშა მედეა ვახტანგაძე და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ოთარ ბოჭოიძე. ლიტველმა მეგობრებმა ქართულ მიწაზე მისცეს ხმა დეპუტატობის კანდიდატებს და ამით მოიხიბლეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ქ. ქუთაისში ცხადყო მშრომელთა ერთსულოვნება, ლენინის პარტიის გარშემო დარაზმულობა. ხალხს რჩეულებს ხმა მისცა 95.000-მა ამომრჩეველმა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მეფოლადეებთან

გუშინ რუსთავში

რუსთავი. (ხაკ. კორ.). ქალაქის მშრომელები დიდი საწარმოო და პოლიტიკური ამაღლებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. წინასაარჩევნო შრომითს ვახტზე ქართველმა მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა, მეცნიერებებმა, მანქანათმშენებლებმა, ფეიქრებმა და სხვა პროფესიების ადამიანებმა სამშობლოს რუსთავის მარკის დიდძალი პროდუქცია მისცეს.

გუშინ დილის ექვსი საათისათვის უველა საარჩევნო უბანში ორგანიზებულად დაიწყო ხმის მიცემა.

№ 1 საარჩევნო უბანი მოთავსებულია მეტალურგთა კულტურის სასახლეში. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ცინცაბაძემ ამომრჩევლებს ხმის მიცემის დაწყება მოულოცა და საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად მიიწვია.

საარჩევნო ყუთთან მიდის საგლინავი საამქროს უფროსი ოსტატი გ. რუხაძე. იგი ამბობს:

— თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ასარჩევად ხმას ვაძლევ ჩვენს საუკეთესო აწმყოს და უფრო ბედნიერ მომავალს.

საარჩევნო ყუთებთან მივიდნენ და სიხარულით მისცეს ხმა ამომრჩევლებმა ა. მამულაშვილმა, ლ. ასლანმენკომ, ა. კოჩიაშვილმა და სხვებმა.

დღის 12 საათისათვის უველა საარჩევნო უბანში თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა მოხდილი ჰქონდა ამომრჩეველთა 90 პროცენტს.

ხმის მიცემის შემდეგ რუსთაველი მშრომელები კულტურისა და დასვენების პარკს ეწვევნენ, სადაც მოეწყო მასობრივი სეირნობა. ქალაქის ბევრმა მშრომელმა დრო სადღესასწაულო სუფრასთან გაატარა.

ზ. მერკვილაძე.

ქართლის გული

გუშინ გორში

გორი. გუშინ აქ დიდი ზეიმი იყო. პარლამენტში ირჩევდნენ ვარიანის საბჭოთა მეურნეობის მეხილეს ნანული მამესწარაშვილს და გორის ბამბის ქსოვილების კომბინატის მრთველს მერი ტატურაშვილს. ეს ორი ქალიშვილი ძალიან ბევრისთვის ნაცნობი და მახლობელია. ისინი ქართლის შუაგულში აღიზარდნენ და აქვე დაადგნენ ცხოვრების დიდ გზას.

ერთსულოვნად მოვიდნენ საარჩევნო ყუთებთან ქალაქ გორის საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი. განსაკუთრებული სიხარული მაინც ბამბეულის კომბინატში იგრძნობოდა. რაიონის სოფლებში დღევანდელი დღე — 14 ივნისი დაუვიწყარ ზეიმად იქცა. თითქმის უველა საარჩევნო უბანში ისმის სამხიარულო მუსიკის ჰანგები. ვარიანის საარჩევნო უბანი, რომელიც გოგებაშვილის სახელობის საშუალო სკოლაშია მოთავსებული, პირველად ახალგაზრდებმა ახსნარუნს. აქ ერთსულოვნად მოვიდნენ საბჭოთა მეურნეობის პირველი უბნის კომკავშირის ორგანიზაციის წევრები და ხმა მისცეს თავიანთ ორგანიზაციის მდივანს ნანული მამესწარაშვილს. ახალგაზრდებთან ერთად არიან ხანდაზმული და საშუალო ასაკის ადამიანები.

ნაშუადღეს რაიონის მთელ რიგ საარჩევნო უბნებში უკვე მოვიდნენ და ხმა მისცეს ხალხის რჩეულთ. ზეღდულეთის საარჩევნო უბანში პირველი ლ. ცერცვაძე მივიდა ბიულეტენის მისაღებად. მან წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ამ დიდ პოლიტიკურ კამპანიაში. გასულ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და უფროსებს მხარში ამოუდგა, დღეისათვის 120 კაცდღე აქვს გამომუშავებული.

ზეიმობენ რაიონის მშრომელნი. ერთსულოვნად აძლევენ ხმას ხალხის რჩეულთ მეჯვრისხევეები, ფლავლები, ნიქოზელები. ჭიწნისელები, კარბელები, შინდისელები, ატენელები, ტინისხიდელები, ხიდისთაველები და სხვ. ისინი სამშობლოს სადღეგრძელოდ ხმას აძლევენ ხალხის რჩეულთ.

რ. გასილაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

კარიაულთა ხმა

ლუშეთი, საქართველოს ამ უძველეს და პატარა ქალაქში, რომელიც ახლა მწვანეშია ჩაფლული და შორიდან ერთ უზარმაზარ თაიგულს ჰგავს, ხშირად შეეხვდებით მზისა და ქარისაგან გაშავებულ მხარბეჭიან კაცს, რომელსაც საყვარულით ძია შოს ეძახიან. მას ბევრგან ნახავთ უსაქმოდ, იგი ხან სახლის სახურავზეა და ხან ხარაჩოებზე, შეიძს ხშირად ნახავთ წყალსადენზე, კანალიზაციის ქსელში. მისი მარჯვენის მადლი ატყვია ყველა კომუნალურ სახლს, ქალაქსა და მის გარეუბნებს.

შესანიშნავი ვაჟკაცი შეო კარიაული თავისი საქმის დიდოსტატია, უმრომლოდ მას გაძლება არ შეუძლია, მიუხედავად სამოცდაათი წლის ასაკისა, შრომა არ მოსწყენია და ასე მგონია, არც არასდროს მოსწყენდება, მისი მარჯვენა აკეთებს თუნუქის ღუმელებს, თუნუქისავე მილებს, იგი ხარატიც არის და ზეინკალიც, არ არის დღე თუ საათი, რომ რაიმე სასარგებლოს არ აკეთებდეს ხალხისათვის.

შეო კარიაული ბედნიერი კაცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ბედნიერება კი უწინარეს ყოვლისა ნიშნავს სანუკვარო ოცნების ფრთების შესხმას. შეოს თვალწინ და მისი უშუალო მონაწილეობით დამკვიდრდა მთაში ახალი, მზიანი და ბედნიერი ცხოვრება, რისთვისაც დუშელებმა ბევრი სისხლი დაღვარეს 1918 წლის ზაფხულში, როცა მენშევიკებს აუჯანყდნენ და პირველად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აიფრიალეს. მტერმა ცეცხლით და მახვილით ჩაახრჩო აჯანყება. სწორედ მაშინ, დამარცხების სისხლიან დღეებში, დუშეთის გარეუბანში, სადაც ახლა თეთრი ობელისკია აღმართული, დახვრიტეს გვარდიელებმა მცირე რევოლუციონერები, რომელთა შორის იყო კლდესავით მტკიცე ვაჟკაცი ტიტე კარიაული, შეოს ახლო ნათესავი.

ბედნიერება ახალი თაობის დავაჟკაცებაა. შეო და მისი ცხოვრების მეგობარი ეკატერინე მაყრიშვილი ბედნიერად ხედავენ თავიანთი შვილებით. უბრალო დუშელი ხელოსნის ოჯახში აღიზარდა ცნობილი ინჟინერი სესილი კარიაული, რომელიც ამჟამად თბილისის ერთ-ერთ დიდ საწარმოში მუშაობს, საქმთავარ ენერგოს მთავარი ინჟინერია მისი მეუღლე თენგიზ ქორიძეც, მინგეჩაურჰესის მშენებლობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. ამავე ოჯახში დავაჟკაცდა შეოსავით მაღალი, მხრებში გაშლილი ვაჟკაცი დეინ კარიაული, რომელმაც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კარგა ხანს იმსახურა შუა აზიაში, ამჟამად იგი რუსთავშია, აშენებს მაღლივ შენობებს, ბრძმედებს, საცხოვრებელ სახლებს, მისი მეუღლე ლიანა ნადიბაიძე დუშეთის რაიონული გაზეთის რედაქციის პასუხისმგებელი მდივანია.

კარიაულების უმცროსმა ქალიშვილმა ნუნუმ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შემდეგ მშობლიურ რაიონში დაიწყო პედაგოგობა, ამას როდი დასჯერდა, დაუსწრებლად დაამთავრა ასპირანტურა და მუშაობს სადისერტაციო შრომაზე.

ბედნიერებაა ბავშვები, ჩვენი სიცოცხლის ყვავილები, ბედნიერებაა იყო საყვარელ ბებო ან პაპა. ეკატერინესა და შეოს გულს ახარებენ შვილიშვილები ირინე, გია, ხათუთა, დავითი.... ბედნიერებაა ხედავდე ქვეყანას განახლებულს და გალაღებულს, ბედნიერებაა ცხოვრობდე ამ სკოლაში სწავლობს, მათ ჩინებულად ესმით, რომ დღეს დიდი დღესასწაულია, ესმით, რომ მათზე ყოველდღიურად ზრუნავენ პარტია და საბჭოთა მთავრობა. ჩვენი სკოლა ახალი სასწავლო წლიდან 4-სართულიან შენობაში გადავა.

საარჩევნო უბნის წინ ავტობუსი ჩამოდგა. აქ „ხმის მიცემის უფლების მოწმობით“ მოვიდნენ ტურისტები ლიტვიდან მარქვეიის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ვენტას“ მუშა-მოსამსახურეები. 20-კაციანი ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელმა კამბარსმა ილაპარაკა იმ შთაბეჭდილებებზე, რაც მათზე მოახდინა საქართველომ. მათ გაიგეს, რომ აქ კენჭს იყრიდნენ ქუთაისის № 4 სამკერდაღო ფაბრიკის მუშა მედეა ვახტანგაძე და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ოთარ ბოჭოიძე. ლიტველმა მეგობრებმა ქართულ მიწაზე მისცეს ხმა დეპუტატობის კანდიდატებს და ამით მოიხიბლეს თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ქ. ქუთაისში ცხადყო მშრომელთა ერთსულოვნება, ლენინის პარტიის გარშემო დარაზმულობა. ხალხს რჩეულებს ხმა მისცა 95.000-მა ამომრჩეველმა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ზეიმობენ რაიონის მშრომელნი. ერთსულოვნად აძლევენ ხმას ხალხის რჩეულთ მეჯვრისხევეები, ფლავლები, ნიქოზელები. ჭიწნისელები, კარბელები, შინდისელები, ატენელები, ტინისხიდელები, ხიდისთაველები და სხვ. ისინი სამშობლოს სადღეგრძელოდ ხმას აძლევენ ხალხის რჩეულთ.

რ. გასილაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

კომუნისტი

№2 გვერდი, ორშაბათი, 15 ივნისი, 1970 წ.

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა

საზღვარგარეთის პრესა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ბრწყინვალე გამოსვლების შესახებ

ახახავს რა დიდ ინტერესს საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, საზღვარგარეთის ქვეყნების გაზეთების უმრავლესობამ უველაზე თვალსაჩინო ადგილებზე დიდი სათაურებით დაბეჭდა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შინაარსი.

უდიდესმა დეპეშათა სააგენტოებმა მთელ მსოფლიოში გავრცელეს სიტყვის შინაარსი და გამოჰყვეს მისი უმნიშვნელოვანესი დებულებანი.

ვარშავის, პრაღის, სოფიის, ბერლინის, ბუდაპეშტის, ბუქარესტის, ულან-ბატორის, პარიზის, ლონდონის, რომისა და სხვა დედაქალაქების რადიო და ტელევიზია უკანასკნელ ცნობათა გადაცემებში იუწყებოდნენ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას. საზღვარგარეთელი ტელემაუურებლები ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას ისმენდნენ კრემლის ყრილობათა სასახლიდან "ანტერვიზიის" სისტემით გადაცემის დროს.

სოციალისტური ქვეყნების პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს სიტყვის იმ ადგილებს, სადაც გადმოცემულია სკკპ საშინაო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას. ხაზგასმულია მოწოდება შემოქმედებითად გადაჭრან კომუნისტური მშენებლობის ახალი ამოცანები.

ამ ქვეყნების პრესაში დიდი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვის იმ ნაწილებმა, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საერთაშორისო საქმიანობას, რომლის მიზანია არ დაუშვან მსოფლიო ომი, მიაღწიონ საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას, განამტკიცონ სოციალიზმის, დემოკრატიის, ეროვნული განთავისუფლებისა და მშვიდობის ძალების ერთიანობა.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო "ნეპსაბადშვარი" აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრულ ბრძოლას მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის და წერს: ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ სოციალისტური თანამეგობრობა ახლა სახელმწიფოთა ისეთი გაერთიანებაა, რომელსაც ნიმუკაცით ვერ შეედრება წარსულში თუ ამჟამად არსებული ვერც ერთი კავშირი, ვერც ერთი კოალიცია.

ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრესა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში დაგმო ამერიკის აგრესიული პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში. ამერიკის პრესამ, კერძოდ, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის მშვიდობისმოყვარული განცხადებანი არ შეესაბამება იმ აგრესიულ მოქმედებას, რომელიც ართულებს საერთაშორისო ვითარებას.

პრესა აღნიშნავს: სიტყვაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გადაჭრით გმობს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში და ვაშინგტონის ამ ბოლოდროინდელ ავანტიურას კამბოჯაში. ამას, კერძოდ, აღნიშნავს პარიზის „ორორი". „ბრეჟნევმა განაცხადა, — წერს ფრანს პრესის საგენტომ მოსკოველი კორესპონდენტი, — რომ ომის გაფართოებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვაშინგტონის ხელმძღვანელები აფართოებენ თავიანთი მომავალი დამარცხებების მასშტაბს თვით ინდოჩინეთში, მის ფარგლებს გარეთ და თვითონ ქვეყანაში. საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ომის ესკალაციამ ვიეტნამში შეიძლება მოუტანოს შტატებს მოულოდნელი დამარცხებებიო ესკალაცია". (საკდესი).

ფაქტები

ტელეტაიპის ლენტიდან

ერთვნული გიგლიოთეკა

14 ივნისი

პარტიზანთა მოქმედება

● კაირო, 14 ივნისი. (საკდესი). პალესტინის „ალ-ასიფის" ორგანიზაციის პარტიზანებმა გუშინ ლიბანის სამხრეთ რაიონებში ჩამოაგდეს ისრაელთა სადაზვერვო თვითმფრინავი. როგორც მენის სააგენტო იუწყება, ეს კაიროში განაცხადა პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენელმა.

„ექსპო-70"-ზე

● ტოკიო, 14 ივნისი. (საკდესი). დღეს სამი თვე სრულდება, რაც ოსაკაში მუშაობს მსოფლიო გამოფენა „ექსპო-70". ამ ხნის განმავლობაში გამოფენა, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „ადამიანობის პროგრესი და ჰარმონია", დაათვალიერა თითქმის 27 მილიონმა კაცმა. მსოფლიო გამოფენის დამთვალიერებელთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბჭოთა პავილიონი.

დამთვალიერებელთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობს ავრთვეე ბულგარეთის, კუბისა და ჩეხოსლოვაკიის პავილიონები.

რ. ნიქსონის განცხადება

● ვაშინგტონი, 14 ივნისი (საკდესი). პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელიც იმყოფება ფლორიდაში სახზოხულო რეზიდენციაში, გამოაცხადა, რომ იქმნება ამერიკის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში მღელვარების მიზეზების შემსწავლელი სპეციალური კომისია.

ამ კომისიის ამოცანას, რომელსაც სათავეში ჩაუდგება პენსილვანიის შტატის უოფილი გუბერნატორი უილიამ სკრენტონი, შეადგენს ამერიკელ სტუდენტთა მღელვარების მიზეზების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება მღელვარების თავიდან ახაცილებლად.

დაუსჯელი თვითნებობა

● ლენდონი, 14 ივნისი. (საკდესი). „წესრიგის დარღვევის" საბაბით ასი ათასამდე ინგლისელ მუშასა და მოსამსახურეს ყოველწლიურად ითხოვენ სამუშაოდან, ნათქვამია ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის ნ. კლარკის აქ გამოქვეყნებულ მოხსენებაში. დათხოვნები, ხაზგასმულია მოხსენებაში, სრულიად უსაფუძვლო და თვითნებური ხასიათისაა.

მოხსენება ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ისეთი კანონის შემუშავება და მიღება, რომელიც აკრძალავს მუშათა უკანონო დათხოვნას მათი რასობრივი კუთვნილების, პროფკავშირული და პოლიტიკური საქმიანობის მიზეზით.

შეხვედრა კაიროში

კაირო, 13 ივნისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერი და ლიბიის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი მუამარ კადაფი, რომელიც აქ ვიზიტად არის, გუშინ მეორედ შეხვდნენ კუბის რესპუბლიკურ სასახლეში.

როგორც მენის საააგენტო აღნიშნავს, ორი მეგობარი არაბული სახელმწიფოს მეთაურებმა განიხილეს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად არაბული ქვეყნების მთელ პოტენციურ შესაძლებლობათა მობილიზაციის საკითხი, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობა და სიტუაცია არაბულ სამყაროში.

მსოფლიო დღეს

კოალიციური მთავრობის გამოცდა

ბონი, 14 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება: **დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამ მხარეში — ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში, ქვემო საქსონიასა და საარის ოლქში — მიმდინარეობს ლანდტაგების (ადგილობრივი პარლამენტების) არჩევნები.**

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია — თვითუფლად დემოკრატიული პარტიის კოალიციური მთავრობისათვის, რომელსაც კანცლერი ბრანდტი მეთაურობს, დღევანდელია, არჩევნები თავისებური გამოცდა იქნება. ამ ბოლო კვირების მანძილზე მასვილი კამპანიის პარტიის — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ლიდერებმა გააჩაღეს აშკარა შოვინისტური და ნაციონალისტური კამპანია, რათა დააშინონ მილიონობით ამომრჩეველი. ამისათვის გამოიყენეს ამ პარტიის მთელი პროპაგანდისტული კომისიები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ არსებული კანონების სასრულებას. ისინი იწვევენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს თავიანთი ახრების გამოსათქმელად.

სანამდელიში კონგრესის წევრები თითქმის სულ არ ესწრებიან ასეთ სხდომებს, ნაკლებად უსმენენ ამ სხდომაზე გამოსულთ და კიდევ უფრო ნაკლებად კითხულობენ იმ დოკუმენტაციებს, რომლებიც ამ სხდომებს ეხება.

ამიტომ იშვიათია, რომ ამ არხებით შემოსული ინფორმაცია გავლენას ახდენდეს წარმომადგენელთა კენჭისყრაზე.

ლობისტებმა ეს შესანიშნავად იციან. მათთვის ღია სხდომებს ერთი უპირატესობა აქვს — ისინი საშუალებას აძლევენ რომელიმე კანონპროექტის მოწინააღმდეგეებს ბლოკირება გაუწიონ მას და გააჭიანურონ კომისიის მუშაობა, რომელიც წინ უსწრებს საერთო კამათს კონგრესში.

ამერიკაში ძირითადი იარაღი, რომლის გამოყენება შეუძლია რიგითი მოქალაქეების ჯგუფს, მთავრობაზე გავლენის მოსახდენად, ეს არის მისი პოტენციალური საარჩევნო ხმა. მაშასადამე, კანონმდებელზე მისი ნამდვილი ზემოქმედება დამოკიდებულია ამომრჩეველთა იმ რაოდენობაზე, რომელსაც ეს ჯგუფი წარმოადგენს თავის სექტორში. მაგრამ ვაშინგტონის ყველაზე ენერგიული და ყველაზე გავლენიანი ლობისტები არიან ისინი, რომელთა კლიენტებსაც სხვა ფორმის ძალაუფლება აქვთ, ე. ი. ფული.

ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილ სამრეწველო წრეებს და პრაქტიკულად თვითეულ მსხვილ კომპანიას ვაშინგტონში ჰყავს თავისი ლობისტი, რომელიც მის ინტერესებს იცავს. ამ ბატონებს სულაც არ აინტერესებთ კონგრესში განხილული საერთო ეროვნული მნიშვნელობის კანონპროექტები, რომლებთაც საზოგადოებრიობა დაინტერესებულია, მათ უფრო მეტად აინტერესებთ მეორეხარისხოვანი კანონები და დადგენილებები, რომლებიც უშუალოდ მათ კლიენტურას ეხება. ამგვარ მეორეხარისხოვან დადგენილებებს კონგრესი ერთხმად იღებს თითქმის ყოველდღე ან ხუთად გადასცემს განსახილველად რომელიმე უმნიშვნელო კომისიას.

რა ფორმას იღებს მოსყიდვა? ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლობისტი გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" თანამშრომელს არწმუნებდა, რომ „ყველას, ვისაც კი რაიმე კანონი დასჭირდება, შეუძლია იგი ნაღდ ფულზე იყიდოს. ამით ის არ მიწდა ვთქვა, რომ საკმარისია რომელიმე სენატორს 5 ათასი დოლარი შესთავაზო, რათა მან ხმა მისცეს თქვენს კანონპროექტს. ახლა ასე აღარ ხდება". აგრეთვე მოგაში აღარ არის, ამბობდა იგი, ღვინო და ქალები, როგორც მოსყიდვის საშუალება.

„თქვენ უეცილებლად, — განაგრძობდა იგი — უნდა დაიყოლიოთ თანამდებობის პირი კაბინეტის გარეთ სადმე შეხვედრაზე. არ უნდა უთხრათ, თუ რა გაქვთ სათხოვარი. ეს მან უთქვენოდაც იცის. თქვენ მხოლოდ ეუბნებით, რომ თქვენთვის ცნობილია ის ბარჯები, რაც მან გაიღო ან რასაც გაიღებს წინასარჩევნო კამპანიის დროს, და უტოვებთ პაკეტს.

მართალია, მთავრობის მოხელეს უფლება არა აქვს მიიღოს „ფულადი ძღვენი" რაიმე გაწეული დახმარებისათვის, მაგრამ მას არ ეკრძალება მიიღოს „ციდან ჩამოვარდნილი" საჩუქარი იმ პირობით, თუ ამას ფინანსპექტორს აცნობებს.

საჩუქრის მირთმევისათვის ყველაზე კარგი საბაბია „მაღლობის სადილი". მოხელის იწვევენ მის პატივსაცემად, ეთქვათ, მისი დაბადების დღის გამო გამართულ ბანკეტზე და სთხოვენ სიტყვით გამოვიდეს. სიტყვის დასასრულს მეგობრები მას საჩუქრებს გადასცემენ.

მოუხედავად ამისა, ზოგჯერ ხდება ისე, რომ რომელიმე გადამეტებულად ხარბ თანამდებობის პირს ძვირად უჯდება თავისი სიძუნწე. ასე მოუვიდა სენატორ თომას დოდს, რომელსაც 1967 წელს ბრალად დასდეს სახელმწიფო დაწესებულებებში, რომელიმე თანამდებობის გაყიდვა, სხვადასხვა სადაზღვეო კომპანიებისაგან ჩრთამის აღება მაშინ, როცა კომისია, რომელშიც თვითონ შედიოდა, ამ კომპანიების მიერ კანონების შესრულებას სწავლობდა და ა. შ.

როცა რიჩარდ ნიქსონმა ეიზენჰაუერის არჩევნების დროს ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა თავი, დიდ ხმაური გამოიწვია მისმა მიდრეკილებამ საჩუქრებისადმი, რომელსაც იგი ღებულობდა საკანონმდებლო კომისიაში ყოფნის დროს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბევრი რესპუბლიკელი მოითხოვდა, ნიქსონმა თავისი კანდიდატურა მოხსნასო. უნდა ითქვას, რომ ლონდონ ჭონსონს არასოდეს სერიოზულად არ უფიქრია უკან დაებრუნებინა ის, რაც საჩუქრების სახით გამონგტონში მიიღო. იგივე შეიძლება ითქვას ჰარი ტრუმენზეც. ამ საკითხში ორივე პარტიას ერთიანი პოლიტიკა აქვს.

გარბიან ქრმიიდან

ნიუ-იორკი, 14 ივნისი. (საკდესი). ამერიკის პრესა იუწყება, რომ იზრდება დეზერტირობა საიგონის მარიონეტულ არმიაში. სულ ცოტა 300-ზე მეტი კაცი, რომლებმაც მიატოვეს სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული არმია, ახლა ცხოვრობს კანადის ტერიტორიაზე, წერს ჟურნალი „პერეიდი", რომელიც იმოწმებს კანადის მთავრობის ოფიციალურ მონაცემებს.

სამხრეთვიეტნამელ იმიგრანტთა დიდი ჯგუფი მონრეალში გაერთიანდა ორგანიზაციად, რომელიც ილაშქრებს საიგონის რეჟიმისა და ვიეტნამელი ხალხის სამშვიდობო საქმეებში ამერიკის შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგ.

მღგომარეობა იორდანიაში

ბეირუთი, 14 ივნისი. (საკდესი). იორდანიაში მდგომარეობა ნორმალური ხდება, იუწყება ლიბანის პრესა. იორდანიის შეიარაღებული ძალების ნაწილებისა და პალესტინის პარტიზანების შეიარაღებული შეტაკებანი შეწყდა. ამანის ქუჩები თავისუფლდება ბარიკადებისაგან, მიმდინარეობს ელექტროკვების, სატელეფონო კავშირისა და წყალმომარაგების აღდგენა, გვარდება ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა, გაიხსნა სასურსათო ფარდულები და მაღაზიები.

კაირო, 14 ივნისი. (საკდესი). იორდანიის მეფე ჰუსეინი გამოვიდა ამანის რადიოთი და განაცხადა, რომ „უველაფერი საკმაოდ სწრაფად დგება თავის ადგილზე", იუწყება მენის სააგენტო იორდანიის დედაქალაქიდან. მან ხაზი გაუსვა, რომ იორდანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ მ. ხადისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ი. არაფატის „ხელთ უპირობო კონტროლი მდგომარეობისადმი".

ჰუსეინმა მოუწოდა ქვეყნის მოსახლეობას დაიცვან წესრიგი და სიმშვიდე.

არჩევნები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

◆

აპარატი. დემაგოგია, მუქარა და აშკარა შანტაჟი იყო ქრისტიან დემოკრატთა ხელმძღვანელების მთავარი იარაღი წინასაარჩევნო ბრძოლაში. ბრძოლაში ჩაება ეკლესიის „დამკვრელი რაზმები" — მრავალრიცხოვანი რეგიონისტული გაერთიანებანი და ორგანიზაციები, რომლებმაც ამ ბოლო დღეებში მოაწყეს პროვოკაციული თავყრილობები ბონსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. ძალადობისა და ენებათა ღილვის გაღვივების ამ კამპანიაში აქტიურად ჩაებნენ ავრეთვე დასავლეთგერმანელი ნეონაცისტები.

სამი ლანდტაგის არჩევნების შედეგებმა უნდა გვიჩვენოს პოლიტიკური ძალების განაწილება დასავლეთ გერმანიაში 8 თვის შემდეგ, რაც გამმართა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნები მარშან 28 სექტემბერს.

□

არგენტინის ახალი პრეზიდენტი

ბუენოს-აირესი, 14 ივნისი. (საკდესი). არგენტინის შეიარაღებული ძალების სარდლობამ, რომლებმაც ხუთი დღის წინათ გადაიყენეს გენერალი ონგანია პრეზიდენტის პოსტიდან, ახალ პრეზიდენტად დანიშნეს ბრიგადის გენერალი რობერტო მარსელო ლევინგსტონი.

ლევინგსტონი დაიბადა 1920 წელს. პრეზიდენტობამდე იგი იყო სამხედრო ატაშე ვაშინგტონში და არგენტინის წარმომადგენელი ამერიკის საბჭოში.

დასავლეთ ბერლინი

დასავლეთ ბერლინში არ წყდება ქალაქის პრობლემული საზოგადოებრიობის გამოსვლები ინდოჩინეთის ქვეყნებში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. ქალაქის ხელისუფლება და პოლიცია, ეს მოქრაობა რომ ჩაახშონ, დემონსტრანტებს წყალსატყორცნებით, ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ხელკეტებით ერეკებიან, განსაკუთრებით სასტიკად მოქმედებდა პოლიცია სპრინგერის ცენტრის — „ამერიკა-ჰაუზის" შენობის წინ.

• • •

სურათზე: სანიტრებს ხელებით გაჰყავთ დაჭრილი დემონსტრანტები. ამ დემონსტრაციის დარბევის დროს ბევრი მონაწილე მძიმედ დაშავდა. პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღიც იხმარა, და სამი კაცი ტყვიით დაჭრა.

სურათის ფოტოკორონიკა.

სახელმწიფო — ეს ჩვენა ვარ!

გუშინ საბჭოთა დემოკრატიის ნამდვილი ზეიმი იყო მთელ ჩვენს ქვეყანაში. სახელმწიფო — ეს ჩვენა ვარო! — ვ. ი. ლენინის ამ დიდებული სიტყვების აზრს მოქმედებაში ხედავდნენ ადამიანები, როცა მძაფრად ხდებოდნენ თავიანთ რჩეულებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. მაგრამ სულ სხვა იყო ოქტომბრის რევოლუციამდე. მივმართოთ წარსულს.

ისტორიულად ყოველი გაბატონებული კლასი ხელისუფლების ჩაგდებისათვის, საკუთარი სახელმწიფო აპარატის შექმნისათვის ისწრაფოდა, რის შემდეგაც „ჩაჯდის ახალ პირობებსა და ბრძოლის ახალ ფორმებს" იყენებდა. ასე იყო მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის დროს, ასეა თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროშიც. მაგრამ არსებითი ხასიათის ცვლილებები ხდება ახალი ტიპის სახელმწიფოს — სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის შედეგად.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია პროლეტარული რევოლუციის მოუხდენლად, ხოლო პროლეტარული რევოლუციის ამოცანების (სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების) განხორციელება — სოციალისტური სახელმწიფოს (პროლეტარიატის დიქტატურის, საერთო-სახალხო სახელმწიფოს) უქონლად.

ასეთი პირველი გამოცდილება პარიზის კომუნამ მოგვცა. იგი, როგორც მარქსი ამბობს, „არსებითად მუშათა კლასის მთავრობა" იყო. ენგელსის გამოთქმით, პარიზის კომუნა „ეს იყო პროლეტარიატის დიქტატურა". პარიზის პროლეტარებმა სწორედ მაშინ გაიგეს, რომ ისინი „თავიანთი საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი უნდა გახდნენ და ხელისუფლება დაიპყრონ", მაგრამ ეს ხელისუფლება უკვე ხალხის, მშრომელთა, საზოგადოების დიდი უმრავლესობის ხელთ იყო, ერთი მუჭა ექსპლოატატორთა საწინააღმდეგოდ, მათ დასათრგუნავად. ამით ახალი ტიპის სახელმწიფომ განსხვავებული, პრინციპულად საწინააღმდეგო თვისება შეიძინა.

მუშათა და გლეხთა კავშირი საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი პრინციპია, მასების სახელმწიფოებრივ მშართველობაში ჩაბმა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი თვისებაა. სსრ კავშირის მოქმედი კონსტიტუციის მესამე მუხლის შესაბამისად მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით. მათ მშრომელთა ავანგარდი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ რკკპ (ბ) XI ყრილობის ტრიბუნიდან აცხადებდა, რომ „სახელმწიფო — ეს არის მუშები, ეს არის — მუშების მოწინავე ნაწილი, ეს არის ავანგარდი, ეს — ჩვენა ვართ".

„სახელმწიფო — ეს ჩვენა ვართ!" — ეს თანმიმდევრული სოციალისტური დემოკრატიის დაცვაა, მასების აქტური პოლიტიკური მოღვაწეობაა, ეს საბჭოთა არჩევნების შედეგად შექმნილი სახელმწიფო აპარატია, ეს ჩვენი საერთო ყოველდღიური ზრუნვაა სამეურნეო ორგანიზატორული და კულტურულ-აღმშრდელობითი საქმიანობის წარმმარვისათვის, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის...

მშრომელთა უშუალო წარმომადგენლობითი ორგანოები ჩვენს ქვეყანაში საბჭოებია. საბჭოების სისტემაში უმაღლეს ორგანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს. უმაღლესი საბჭოს არჩევნები, მისი შემადგენლობა და ორგანიზაციული მუშაობის ფორმები განსაკუთრებენ საბჭოთა სახელმწიფოს ხალხურ ბუნებას. ჩვენ სწორედ ამ საკითხებზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ყოველ სახელმწიფოში წარმომადგენლობითი ორგანოების შესაქმნელად გარკვეული წესებია დადგენილი, შესაბამისი სამართლებრივი ნორმებია შეშუშავებული. ამ წესებისა და ნორმების ერთობლიობა სახელმწიფოში ქმნის საარჩევნო სისტემას.

სახელმწიფოთა კლასობრივი ხასიათის მიხედვით ამჟამად არსებობს ბურჟუაზიული და სოციალისტური (საბჭოთა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების) საარჩევნო სისტემა. მათი პრინციპულად განსხვავებული თვისებები რეალური განსხვავებულობა ორი ტიპის სახელმწიფოთა შორის არსებული სხვაობისა — ბურჟუაზიულ და სოციალისტურ დემოკრატიებს შორის სხვაობისა. ისინი ასახავენ შესაბამისი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას.

სოციალისტური დემოკრატია დემოკრატის უმაღლესი ტიპია. აქ ჩვენ ვხედავთ ნამდვილ ხალხის ხელისუფლებას, ხალხის ნამდვილ ხელისუფლებას, ხალხის ნამდვილ ხელისუფლებას, ხალხის ნამდვილ

თბილისი მოზეიმე

სურათზე: ბლეხანოვის სახელობის კლუბის თვითმოქმედი კოლექტივის გამოსვლა ამომრჩევლების წინაშე. ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

თბილისის საკონცერტო დარბაზებში

თოჯინების ღიმილი და სევდა

თბილისში ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის გასტროლების გამო

ინტერესით შეხვდა ჩვენი მაყურებელი ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრის (მთავარი რეჟისორი ვ. სუდარუშკინი) გასტროლებს. მისი მახვილგონიერი, მხიარული სპექტაკლები ჰთასობით თბილისელსა ნახა, დიდებმაც და პატარებმაც. ამ თეატრის თოჯინები არაერთხელ ყოფილან გასტროლებზე საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და რაიონებში, უმრწყინვარესი საზღვარგარეთაც. და ყველგან მრავალრიცხოვანი მეგობრები და თაყვანისმცემლები შეუძენიათ.

მსახიობთა, მხატვართა, რეჟისორთა მაღალმა ოსტატობამ თეატრს შესაძლებლობა მისცა გაეფართოებინა შემოქმედებითი მოღვაწეობის ჰორიზონტი. დღეს თეატრი საბავშვო რეპერტუართან ერთად შემოქმედებითად ამდიდრებს მოზრდილთა რეპერტუარსაც, რომელშიც დიდი ადგილი ჰქვია დათმობილი მორალურ-ეთიკური პრობლემების შემცველ პიესებს, სატირულ კომედიებს, მიმოხილვებს, პაროდიებსა და ფანტასტიკურ პიესებს. თბილისელები, რომლებმაც ნახეს ჩვენი სტუმრების სპექტაკლები, დიდად გმაყოფილნი უკრავდნენ ტაშს ამ ეგზოტიკური თეატრის „უჩინარ“ შემოქმედთ.

„ჭარმოუდგენელი კომედია“ (პიესის ავტორები — ბ. მაყელოვი, ღ. გერბარტი, დამდგმელი — ვ. სუდარუშკინი, მხატვარი — დ. ალანასევი, კომპოზიტორი — მ. რაბინოვიჩი) ერთ-ერთი საინტერესო და რეჟისორული გააზრების მხრივ მეტად საყურადღებო სპექტაკლია. მოზრდილთა ამ სპექტაკლის ავტორებმა ნოველების ელემენტები, რომლებსაც წლების მანძილზე შემოქმედებითად იყენებდა საბჭოთა თოჯინების თეატრი. თუმცა თანამედროვეობის შესატყვისი მახინჯება, რეჟისორული ხედვა და გადაწყვეტის ჩვეული მანერა აქაც მკაფიოდ იგრძნობა.

სპექტაკლს, რომლის ცენტრი ავტორის გამოჩენილი თოჯინური რეჟისორი მ. კარალიოვი, საფუძვლად უდევს ძველი ბერძნული მითი მოქანდაკე პიგმალიონზე და მის მიერ შექმნილ მარმარილოს მშვენიერ ქანდაკებაზე-გალატეაზე, რომელიც მოქანდაკის თხოვნით ღმერთებმა ქალად აქციეს.

მაგრამ ზღაპრულობა, პირობითი გარემო და ლირიკული ჰანგი, ბ. ბელპეროვი-ჩის, ჯ. ჯორჯაძის და სხვათა პროფესიული ოსტატობა, რომლებიც წარმატებით სძლევენ ყველაზე რთულ რეჟისორულ ამოცანებს.

ყველაზე იგრძნობა რეჟისორის ჯ. სუდარუშკინის ფაქიზი ხელი, მდიდარი ფანტაზია. იგრძნობა, რომ იგი კარგად იცნობს თოჯინურ ხელოვნებას, გატაცებით უყურებს თავისი პროფესია.

ამ მეორე სპექტაკლი — ბ. ზადორისა და ს. დრაგუნის „ზმეინოერ გალატეა“. ეს ულვა ტრადიციული თოჯინური ხერხებით დადგმული სპექტაკლია, იმ აზრით, რომ მასში შენარჩუნებულია ყველა ის თოჯინური ელემენტები, რომლებსაც წლების მანძილზე შემოქმედებითად იყენებდა საბჭოთა თოჯინების თეატრი. თუმცა თანამედროვეობის შესატყვისი მახინჯება, რეჟისორული ხედვა და გადაწყვეტის ჩვეული მანერა აქაც მკაფიოდ იგრძნობა.

სპექტაკლში ბევრია მკვეთრი გამომსახველი სცენები: გალატეას პირველი შეხვედრა ზევსთან, სადაც მთელი რიგი კომედიური სიტუაციები ზედმიწევნით თოჯინური ხერხებით არის გადაწყვეტილი, აგრეთვე ოსტატურად მიგნებული ეპიზოდი ბარში, ზევსი, გალატეა და გპოლონი თავგანწირით რომ ცეკვავენ როკ-ნ-როლს. ყველაზე ჩანს ნიჭიერი რეჟისორის ხელი.

მსახიობური შესრულების ბრწყინვალე ნიმუშს იძლევიან რსფსრ ს